ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

ქ. ჭიათურა

N 52 2
10/01/2020

2-52-4-202001101743

ჭიათურაში, ქუთაისის ქუჩის №18 სახლზე მიხეილ კიპაროიძის მემორიალური დაფის განავსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.
ჭიათურაში, ქუთაისის ქუჩის №18 სახლზე განთავსდეს ყოფილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის მიხეილ კიპაროიძის მემორიალური დაფა მისი ღვაწლის დაფასებისა და სახელის უკვდავსაყოფად.

მუხლი 2.
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს მემორიალური დაფის დამზადება და შენობაზე განთავსება.

მუხლი 3.
განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.
ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) დაინტერესებული მხარის მიერ განკარგულების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გივი კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე